# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №16-2811/01

ქ. თბილისი 28 ნოემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია" (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ღუღუნიშვილის სახით, და მეორე მხრივ, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა" (შემდგომში "მიმწოდებელი"), A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის $3^1$ პუნქტის ა) ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-10 მუხლის და შპს ,,მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის" დირექტორის 21.11.2016წ N10/22 საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

## 2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (CPV-30197630) (შემდგომში - „საბეჭდი ქაღალდი") დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის **5 (ხუთი)** შეკვრა.

2.3 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

## 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 33 ( ოცდაცამეტი) ლარს.

3.2 ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 6.60 (ექვსი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს.

## 4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე (ქ. თბილისი), მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.
4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
4.4 საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

## 5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ეტაპობრივად,
ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ყოველი შემდგომი მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან (წარედგინოს წერილობითი ფორმით) არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.
გ) უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ.თბილისის 7.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, (დასაწყობების გარეშე) ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის ტერიტორიაზე ერთჯერადად მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 5 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული საბეჭდი ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.
დ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
5.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას.
ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ.
გ) ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის მთლიანი ღირებულების 1%-ს.

## 6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

6.1 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი;

6.2 თითეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში ამასთან, თითეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას,

ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა;

6.3 მხარეთა მიერ წინამდებარე შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშელკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით;

6.4 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით;

6.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით

## 7.ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

## 9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 04 იანვრამდე.

## 11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

შემსყიდველი:
შპს ,,მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია"
ს/კ 404904458

მის: ახმეტელის #10ა
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი სს ,,საქართველოს ბანკი"
კოდი BAGAGE22
ა.ა GE53BG0000000343608000GEL

გიორგი ღუღუნიშვილი

დირექტორი

**მიმწოდებელი:**

ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა"
ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55/1
ს/კ: 01009005243 ტ: 2 96 19 31; 599 94 45 17;
ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.com
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE75BG0000000888000801

ი.მ. გიორგი კანდელაკი

დანართი №1

## უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური დავალება

მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. გრამაჟი (გრ/მ$^2$) – 77– 82;
2 სისქე (um) - 104 – 110;
3. სითეთრე (CIE) - არანაკლებ 148;
4. გაუმჭვირვალობა – მინიმუმ 94%;
5. სიკაშკაშე – არანაკლებ 98% ;
6. ზედაპირის ხაოიანობა ml/min ორივე მხრიდან - არაუმეტეს 150;
7. ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;
8. ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე (გააჩნდეს ECF სერტიფიკატი);
9. ქაღალდს უნდა გააჩნდეს ტყის სერტიფიცირების დამოწმების პროგრამის (PEFC) მიერ გაცემული ლიცენზია/ სერტიფიკატი;
10. არანაკლებ 500 ფურცლიანი შეკვრა;
11. ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის.

## მიღება - ჩაბარების

## აქტი

ქ. თბილისი

29 ნოემბერი 2016წ

ერთის მხრივ შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“ (ს/კ 404904458), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, შემდგომში (შემდგომში: „შემსყიდველი“) და, მეორეს მხრივ, მეორე მხრივ, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“ (შემდგომში “მიმწოდებელი”), ხოლო ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის 2016 წლის 28 ნოემბრის N16-2811/01 ხელშეკრულების საფუძველზე მიაწოდა 5 (ხუთი) შეკვრა A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი.

მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის 2016 წლის 28 ნოემბრის N16-2811/01 ხელშეკრულების თანახმად, 5 (ხუთი) შეკვრა A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ღირებულება შეადგენს 6,60 (ექვსი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. შესაბამისად, მიმწოდებელზე ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს: 33 (ოცდაცამეტი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

*შემსყიდველი:*

შპს ,,მარცვლეულის ლოგისტიკის კომპნია“

მის. ქ. თბილისი, ახმეტელის 10ა

ს/კ 404904458;

სს ,,საქართველოს ბანკი“

ა.ა GE53BG0000000343608000GEL

დირექტორი
გიორგი ღუღუნიშვილი

*მიმწოდებელი:*

ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“

ქ. თბილისი, აღმაშენებლის №55/1

ს/კ: 01009005243
ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.com
სს ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE75BG0000000888000801

ი.მ. გიორგი კანდელაკი